მთავრობის გადაწყვეტილებით, 2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალი მექანიზმი.

საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე ახალი ბრძანების თანახმად:

- **მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოიცავს:**

ა) თანამდებობრივ სარგოს, რომელიც გაანგარიშდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1.განათლება და კვალიფიკაცია;

2. სამუშაო სტაჟი;

3. სამუშაო დატვირთვა;

და

ბ) შესაძლო დანამატებს:

1. წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის ფუნქციური დანამატი;
2. კლასკომპლექტით სწავლების დანამატი;
3. დანამატი არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ერთ-ერთი შემდეგი საგნის სწავლებისათვის: ქართული არაქართულენოვანი სკოლებისთვის; საქართველოს ისტორია; საქართველოს გეოგრაფია;
4. კლასის დამრიგებლობის დანამატი;
5. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი.

- თანამდებობრივი სარგო სამუშაო დატვირთვის შესაბამისად განისაზღვრება ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

საგაკვეთილო საათი კვირაში	**სამუშაო დატვირთვის თანამდებობრივი სარგო თვეში (ლარი)**
1 საათი	96
2 საათი	192
3 საათი	288
4 საათი	384
5 საათი	480
6 საათი	576
7 საათი	672
8 საათი	768

9 საათი	864
10 საათი	960
11 საათი	1,056
12 საათი	1,152
13 საათი	1,248
14 საათი	1,344
15 საათი	1,550
16 საათი	1,630
17 საათი	1,710
18 საათი	1,790
19 საათი	1,870
20 საათი	1,950
21 საათი	2,030
22 საათი	2,110
23 საათი	2,190
24 საათი	2,270
25 საათი	2,350

ზემოთაღნიშნული ცხრილის საათობრივი დატვირთვის შესაბამის სარგოს ემატება თანამდებობრივი სარგოს შემადგენელი განათლების/კვალიფიკაციის და სამუშაო სტაჟისთვის განსაზღვრული სარგოები.

ასევე, თანამდებობრივ სარგოს ემატება ზემოთჩამოთვლილი შესაძლო დანამატი ან დანამატები.

- **სპეციალური მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოიცავს:**

ა) თანამდებობრივ სარგოს, რომელიც გაანგარიშდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. განათლება და კვალიფიკაცია;
2. სამუშაო სტაჟი;
3. სამუშაო დატვირთვა (მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით);

და

ბ) შესაძლო დანამატებს

1. კლასის დამრიგებლობის დანამატი;
2. წამყვანი ან მენტორი სპეციალური მასწავლებლის ფუნქციური დანამატი
3. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი;

- **სპეციალური მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო სამუშაო დატვირთვის შესაბამისად განისაზღვრება შემდეგი სახით:**

მოსწავლეთა რაოდენობა	**თანამდებობრივი სარგო ლარებში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად**
1 მოსწავლე	1,344
2 მოსწავლე	1,550
3 მოსწავლე	1,630
4 მოსწავლე	1,710
5 და მეტი მოსწავლე	1,790

- საათობრივი დატვირთვის რაოდენობის მიუხედავად, **წამყვანი და მენტორი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის ფუნქციური დანამატი** განისაზღვრება ფიქსირებული ოდენობით:

ა) წამყვანის ფუნქციური დანამატი - 150 ლარი;

ბ) მენტორის ფუნქციური დანამატი - 300 ლარი.

2 წლის განმავლობაში მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის ფუნქციის შესრულება შეუძლია ერთზე მეტ სკოლაში და შესაბამისად, დანამატი გაიცემა ყველა იმ სკოლაში, სადაც ასრულებს შესაბამის ფუნქციას.

- იმ მასწავლებლებს, რომელთაც 2023-2024 სასწავლო წლის მონაცემებით, დადასტურებული აქვთ კომპეტენცია კონკრეტულ საგანში/საგნებში, მაგრამ ითავსებენ საგნობრივი ჯგუფის სხვა საგნებსაც (კომპეტენციის დადასტურების გარეშე), ანაზღაურება დაუანგარიშდებათ ახალი სახელფასო სისტემით დადასტურებულ და დაუდასტურებელ საგანებზეც, რითაც მიეცემათ შესაძლებლობა 2 წლის ვადაში დაიდასტურონ საგნობრივი კომპეტენცია ყველა იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან.

- თუ მასწავლებლის შრომის ანაზღაურება გაანგარიშების ახალი წესით ნაკლებია 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მიღებული ანაზღაურებისა, 2 წლის განმავლობაში მასწავლებელს უნარჩუნდება ძველი ანაზღაურება და მიეცემა დამატებით 200 ლარი. 200 ლარიანი მატება შენარჩუნებული იქნება გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგაც.

- თუ ახალი წესით და ძველი წესით დაანგარიშებულ ხელფასებს შორის სხვობა არ იწვევს 200 ლარის ოდენობით ხელფასის ზრდას, მაშინ მასწავლებელს საათობრივი დატვირთვის მიუხედავად, გაზრდილი ანაზღაურება მიეცემა მინიმუმ 200 ლარის ოდენობით.

- ივლისის და აგვისტოს თვეების საშვებულებო ანაზღაურება ახალი წესის შესაბამისად გაიცემა 2024 წლის აპრილის, მაისისა და ივნისის დატვირთვების მიხედვით, ივლისის თვის პირველ ნახევარში.